მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №6(116) 2016 წ. 16-31 მარტი ფასი 50 თეთრი

სკოლა თანამედროვე სტანდარტებით

სოფელ იორმუღანლოში ახალი სკოლა გაიხსნა

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრიორიტეტი განათლებაა, სწორედ ამიტომ,მთავრობა აქტიურად განაგრძობს სკოლის მოსწავლეებისთვის კომფორტული და თანამედროვე სტანდარტების სასწავლო პროცესის შექმნაზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. იორმუღანლოში თანამედროვე სტანდარტების სკოლა ***საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა* თამარ სანიკიძემ** გახსნა. სკოლის ახალი შენობა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ***კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მოადგილემ* ზურაბ არსენიშვილმა**, ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გამგებელმა* ბიორბი ბზირიშვილმა**, ***საგარეჯოს მაჟორიტარმა დეპუტატმა* თამარ ხიდაშელმა** და ***რესურსენტრის უფროსმა* მანანა ცუცქირიძემ** ერთად დაათვალიერეს. სკოლის შენობა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისია, სადაც გათვალისწინებულია ყველა დეტალი, ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, აღჭურვილია ახალი ინვენტარით, აქვს თანამედროვე გათბობის სისტემა, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლას-კაბინეტი. უნდა აღინიშნოს, რომ სოფ.იორმუღანლოს სკოლაში 1200-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს და ისინი წლების განმავლობაში ოჯახებში მოწყობილ არასტანდარტულ, სასწავლო პროცესისათვის შეუფერებელ საკლასო ოთახებში სწავლობდნენ.

გვანცა ჯავახიშვილი

დანიშვნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის I მოადგილე

მიხეილ სვიმონიშვილი

დაიბადა 1958 წლის 21 მაისს ქ. საგარეჯოში.

1975-1980 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტზე.

1981-1983 წლებში მუშაობდა ქ. საგარეჯოს საგზაო უბანში ინჟინრად.

1983-1989 წლებში – ქ. თბილისის კადრების სამმართველოს კრწანისლოჭინის კარიერების უფროსია.

1989-1991 წლებში – ქ. თბილისის ქვის დამამუშავებელი ქარხნის დირექტორია.

1991 წლიდან დღემდე ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას.

2016 წლის 21 მარტიდან დაინიშნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილედ. დაოჯახებულია.

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

22 მარტი, 2016წ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი* გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. თათბირის დასაწყისში მან გამგებლის წარმომადგენლებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***გამგებლის I მოადგილე* მიხეილ სვიმონიშვილი** წარუდგინა.

თათბირზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა **ნიკო ჯავახიშვილმა** გააკეთა მოკლე ზეპირი ინფორმაცია: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდას ამ დღეებში ისრაელის ელჩი ესტუმრა, რომელმაც დაათვალიერა და გაეცნო აქ მოქმედ ფერმერთა სკოლას. აღნიშნულ სკოლას მებოსტნეობისა და მეხილეობის დარგში აქტივობების გასაფართოვებლად უახლოეს მომავალში მიკროგრანტი გადაეცემა.

გამგებლის წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში ფართო სპექტრით წარმოადგინეს ის პრობლემები, რომლებიც კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობას აწუხებს. საუბარი შეეხო დაზიანებული სასმელი წყლის მილების ამოსაცვლელად გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული სამუშაოების შესრულებას; სოფლების ტერიტორიაზე გამავალი სარწყავი წყლის არხების ამოწმენდის და ელექტროგადამცემი ხაზების მოძველებული, ამორტიზებული საყრდენი ბოძების მდგომარეობის საკითხებს.

თათბირს ესწრებოდა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გიორგი რევაზიშვილი.

ახალგაზრდობის ჩართულობისთვის

– შეიქმნება ახალგაზრდული კლუბები
– იქნება ახალი მუსიკალური ინსტრუმენტები
– გადაეცემათ ახალი სპორტული ინვენტარი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციასთან - „ადამიანი გაჭირვებაში“ (ინგ. “People in Need”)

აღნიშნულ არასამთავრობო ორგანიზაციას ჰყავს ახალგაზრდული კომიტეტი, სადაც გაწევრიანებული არიან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები.

“ადამიანი გაჭირვებაში“ არის ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში ფუნქციონირებს 2005 წლიდან და ახორციელებს პროექტებს სხვადასხვა მიმართულებით. ერთ-ერთი ასეთი პროექტია ახალგაზრდების ჩართულობის და სოციალური ანგარიშვალდებულების პროექტი, აღნიშნული პროექტი ხორციელდება წყალტუბოს, თერჯოლის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, პროექტის ფარგლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განხორციელდა რამდენიმე აქტივობა, როგორიცაა, ახალგაზრდების სოციალური ანგარიშვალდებულების კვლევა, ტრენინგები, ახალგაზრდული ბანაკი, რომლის ფარგლებშიც დაიწერა მუნიციპალური ახალგაზრდული სამოქმედო გეგმა ჩვენი სამსახურის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მონაწილეობით.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დაგეგმილ აქტივობებში უნდა დაიხარჯოს 70000 ლარი, პროექტი სრულად ფინანსდება მსოფლიო ბანკისგან. სამოქმედო გეგმის მიხედვით, 12 სოფელში (გიორგიწმინდა, გომბორი, კოჭბანი, უჯარმა, ხაშმი, იორმუღანლო, შიბლიანი, კაკაბეთი, მზისგული, მანავი, ვერხვიანი, უდაბნო) უნდა შეიქმნას ახალგაზრდული კლუბები აღჭურვილი შესაბამისი საოფისე ინვენტარით და კომპიუტერული ტექნიკით.

ქ. საგარეჯოსა და შემდეგ 19 სოფელს (გიორგიწმინდა, ხაშმი, პატარძეული, ნინოწმინდა, გომბორი, უჯარმა, პატარა ჩაილური, თოხლიაური, მანავი, კაკაბეთი, შიბლიანი, ვერხვიანი, მზისგული, იორმუღანლო, ლამბალო, თულარი, დუზაგრამა, ყანდაურა) უნდა გადაეცეს სპორტული ინვენტარი.

ქ. საგარეჯოსა და შემდეგ 12 სოფელს (გიორგიწმინდა, ხაშმი, გომბორი, უჯარმა, კოჭბანი, მანავი, კაკაბეთი, შიბლიანი, ვერხვიანი, მზისგული, იორმუღანლო, უდაბნო) უნდა გადაეცეს მუსიკალური ინვენტარი.

ყოველივე ზემოაღნიშნული, ხელს უწყობს ახალგაზრდების მიერ თავისუფალი დროის სწორად გამოყენებას.

პროექტის ფარგლებში, ხელი ეწყობა ასევე ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციას, ეთნიკური უმცირესობების თანამონაწილეობით იგეგმება შემდეგი აქტივობები: 2 სპორტული ღონისძიება და 2 კულტურული ღონისძიება-მხიარული სტარტები, მინი ფეხბურთი, ექსკურსია რაბათში, მეგობრობის დღე, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დამეგობრებას და კომუნიკაციას.

ქეთი ხაბაზიშვილი,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი ახალგაზრდულ საკითხებში

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის მორიგ სხდომას ამავე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე* ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა.

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ პირველ საკითხზე „ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა მადლენა სამუნაშვილმა.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში შემავალ ტერიტორიულ ორგანოებზე „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გამოყოფილი თანხების განაწილების შესახებ“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსმა ბექა ფეიქრიშვილმა.

საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარის ალ. მეზვრიშვილის მიერ იქნა წარმოდგენილი დღის წესრიგის მესამე საკითხი – „ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების 2016 წლის პირველ კვარტალში საკრებულოს სხდომებზე დასწრების შესახებ“.

სხდომაზე მოსმენილ და განხილულ საკითხებზე საკრებულომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

კითხვა-პასუხის რეჟიმში

სამელიორაციო სისტემების სარეაბილიტაციო პროექტების პრეზენტაცია

16 მარტს ქ. საგარეჯოს ახალგაზრდულ ცენტრში ***შპს „საქართველოს მელიორაციის“ კახეთის რეგიონის დირექტორი* ნიკოლოზ ქურთიშვილი *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს* გიორგი გზირიშვილს**, ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებს, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს შეხვდა. რეგიონის დირექტორმა შეხვედრაზე წარმოადგინა სამელიორაციო სისტემებზე დაგეგმილი სარეაბილიტაციო პროექტების პრეზენტაცია, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განხორციელდება. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა. გამგებლის წარმომადგენლებმა ადმინიტრაციულ ერთეულებში პროექტებთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს და შპს-ს წარმომადგენლებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამელიორაციო პრობლემებიც გააცნეს.

„გაფაფხულები დადგა...“

სპეციალისტის საუბარი

რჩევები

ხეხილის გასხვლა

ხეხილის გასხვლა ყოველწლიურად ისევე სავალდებულოა, როგორც ვაზისა. თესლოვანი კულტურების გასხვლა განსხვავდება კურკოვნებისაგან; კენკროვნებს უფრო თავისებური გასხვლა სჭირდება,რაც გამოიხატება გამოხშირვასა და წვერების გადაჭრაში.

თესლოვანი კულტურები: ვაშლი, მსხალი დიდი ტანით, ყლორტის უპირატესი ზრდით გამოირჩევიან, ამიტომ მათი გასხვლა სწორ მიდგომას საჭიროებს. პირველ რიგში მებაღემ, როცა ის ხესთან მიდის გასასხლავად, უნდა გულდასმით დაათვალიეროს ის, მონიშნოს ზედმეტი ტოტები და წამონაზარდები, რომლებიც აუცილებელ შეჭრას მოითხოვენ. მებაღე უნდა ეცადოს ხეს მისცეს ნორმალური განათება და ჰაერაცია. ამიტომ საჭიროა მოჭრას ის ტოტი, რომელიც ზღუდავს ხის ნორმალურ განათებას და ჰაერაციას. არ უნდა დავივიწყოთ რომ მოჭრისას, ტოტი ჯერ დაბლითა მხრიდან ჩავხერხოთ, ხოლო შემდეგ მაღლიდან, რათა თავიდან ავიცილით მისი ჩახლეჩვა და მცენარისათვის ზიანის მიყენება. ტოტი უნდა მოიჭრას ძირში, ანუ რგოლზე და გადანაჭერ ადგილას წაესვას ბაღის მალამო. ვეგეტაციის პერიოდში ვაშლის, მსხლის, კომშის ხეებს ახასიათებთ მრავალრიცხოვანი ამონაყრის წარმოქმნა.

მებაღემ ინდივიდუალური მიდგომა უნდა გამოაჩინოს, განსაზღვროს რომელი მათგნი დატოვოს მომავალი კრონის გასაძლიერებლად, დანარჩენი ძირში უნდა მოიჭრას. არ უნდა დაგვავიწყდეს ახალგაზრდა ხეხილის გასხვლისას კრონის ფორმირება. ვარჯი ძირითადად უნდა შედგებოდეს სამი ან ოთხი სათანადო განშტოებებით. სხვლის დროს მებაღემ ზუსტად უნდა დაიცვას ეს მოთხოვნა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას ვარჯის ტოტების ჩახშირება და განათების შეზღუდვა. თუ წლიური ნაზარდი ნორმას არ აღემატება,მაშინ ერთი მესამედით ხდება ტოტის დამოკლება, ხოლო თუ ნაზარდი გათამამებულია, ის ნახევრით ან ორი მესამედით მოკლდება. უნდა ვეცადოთ ვაშლის მსხლის ხეს მივცეთ ჯამისებრი ფორმა, რაც აადვილებს მის განათებას, გასხვლას, შეწამვლას და სხვა სამუშაოების ჩატარებას. რაც შეეხება კურკოვანების გასხვლას, უნდა ითქვას, რომ ბევრი მებაღე ნაკლებ ყურადღებას აქცევს მათ. მაგალითად, ტყემალი ისე ბერდება, რომ მსხვლელის დანა და ხერხი არ შეეხება, ისინიც იზრდებიან, იბუჩქებიან დაიკავებენ დიდ ფართობს.

კურკოვნებიდან მებაღეები უფრო მეტად სხლავენ ატამს, ქლიავს, ბალს, გარგარს, ალუჩას, ისევე, როგორც თესლოვან ხეხილში, კურკოვნებშიც საჭიროა ზედმეტი ტოტების შეჭრა და ახალი წამონაზარდის მთლიანად შეცვლა – გარდა, სამომავლოდ გასაზრდელად გამოყოფილი ყლორტებისა. საჭიროა ატმისა და გარგარის შემთხვევაშიც, რადგან ვარჯში ტოტების სიხშირე იწვევს ნაყოფის სიწვრილეს და მის განუვითარებლობას, ფერის დაკარგვას და ღირებულების შემცირებას. რაც შეეხება ახალდარგულ თუ ერთწლიან ან ორწლიან მცენარეს, მას აუცილებლად უნდა წავაჭრათ როგორც წვეროს, ისე გვერდითი ტოტების ნაწილი. ტოტების ნაწილის წაჭრისას უნდა დავაკვირდეთ, რომ კვირტი გარეთა მხარეს დარჩეს. შემდეგ ნაზარდი ცენტრისკენ კი არ წაიზრდება, განზე წავა და მცენარე უფრო დაიბუჩქება. განსაკუთრებით მივაქციოთ ყურადღება ატმის ხის გასხვლას. ცნობილია, რომ ატმის ხე მხოლოდ 7-8 წელს ცოცხლობს. ამიტომ ის მოკლედ უნდა გავსხლათ, ისე, რომ შტამბი ერთ მეტრამდე დარჩეს, ასევე, მოკლედ უნდა გავსხლათ გვერდითი ტოტები. ასე უფრო გახანგრძლივდება ატმის ასაკი.

სხვლა ჩვენს პირობებში ტარდება გვიან შემოდგომიდან-ხის სრული მოსვენების დადგომის შემდეგ, გაზაფხულამდე – აქტიური ვეგეტაციის დაწყებამდე. შემოდგომით სხვლა უნდა გაგრძელდეს ყინვების დაწყებამდე. ადრე შემოდგომით და გვიან გაზაფხულზე სხვლას ის უარყოფითი თვისება აქვს, რომ ნასხლავი ტოტები დიდი რაოდენობით შეიცავს საკვებ ნივთიერებებს და მათი მოცილება აღარიბებს ხეს საკვები მარაგისაგან, რაც უარყოფითად მოქმედებს ხეში ვეგეტაციის ნორმალურ მიმდინარეობაზე. შემოდგომით უკეთესია დავიწყოთ თესლოვანი ხეხილის გასხვლა. კურკოვანი კი-ადრე გაზაფხულზე ვეგეტაციის დაწყებამდე.

გაზაფხულის I თვე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ძარიანი, ყინვიანი აღმოჩნდა. ღამით ტემპერატურა -2, -3 და -5 გრადუსამდეც დაეცა. თებერვლის თბილმა ამინდებმა ალუჩის, ნუშის, ტყემლის კვირტები „გამოიტყუა“ და თეთრად გადაპენტილმა ხეებმა ღამით ყინვას და ძარიშხალს, დღე კი ჰაერის +10, +13 გრადუსამდე გათბობას გაუძლო... კლიმატი, კლიმატი საგარეჯოში მართლაც უცნაური და უჩვეულოა წლის ამ დროს ყოველთვის.

კლიმატი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მონაცემებით, 1916-1960 წწ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 11°C-ს შეადგენდა. ყველაზე ცივი თვე იანვარია, (ქ. საგარეჯო -0,1°C). ყველაზე ცხელი თვეებია ივლის-აგვისტო (აგვისტოს საშუალო თვიური მაჩვენებელი 22°C-ია). აგვისტოში ჰაერის აბსოლუტური მაქსიმუმი 38°C-ს უდრის. აბსოლუტური მინიმუმი აღინიშნა იანვარში (-24°C). ნალექების მაქსიმალური თვიური რაოდენობა 1961 წლამდე მაისში აღინიშნა და შეადგინა 287მმ, ხოლო დღეღამურმა – 102 მმ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთისა და ჩრდილოეთის ქარები. ქარის საშუალო სიჩქარე 2.2მ/წმ-ის ტოლია. ძლიერქარიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ 19-ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მარტის დასაწყისიდან ჰაერის ტემპერატურა ნელი ტემპით მატულობს. აპრილში ტემპერატურა ხშირად მკვეთრად ეცემა და ადგილი აქვს გვიან ყინვებს. ზაფხული ცხელია,განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის სამხრეთ ნაწილში. მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემების მიხედვით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ყველაზე მშრალია ზამთარი, ყველაზე წვიმიანი პერიოდი კი გაზაფხულის ბოლო – ზაფხულის დასაწყისია. შემოდგომის დაწყება ხდება ნელი ტემპით, ტემპერატურა ნელ-ნელა კლებულობს. ადრეული ყინვები იწყება ოქტომბრის ბოლოს და ნოემბრის შუა რიცხვებში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვეგეტაცია იწყება აპრილის თვეში, მთავრდება ოქტომბერში. ვეგეტაციის დაწყება-დამთავრების დროს ადგილი აქვს ადრეულ და გვიან ყინვებს.

ჟურნალი

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოწყვლადობა კლიმატის ცვლილებების მიმართ“

2011 წ

ლობიოს წარმოშობის ორი კერა არსებობს: ამერიკა და სუბტროპიკული აზია. ამისდა მიხედვით ლობიოს ყოფენ ორ ჯგუფად. აზიური წარმოშობის ლობიო უფრო გავრცელებულია, წვრილმარცვლიანია, დაბალტანიანია, გრძელი და ვიწრო პარკით, პარკში მარცვლების დიდი რიცხვით-6 და მეტი.

ამერიკული ლობიოსათვის დამახასიათებელია მსხვილმარცვლიანობა, ფართე, მოკლე პარკი და მარცვლების მცირე რიცხვი პარკში 3-6 მარცვალი, ღერო მაღლა მხვიარა და მოითხოვს მეტ ტენიანობას.

ლობიოს გვარს მიეკუთვნება 150-მდე ბოტანიკური სახეობა. მათგან კულტურაში ცნობილია 20 სახეობა. ყველაზე მეტად გავრცელებულია ერთი სახეობა – ჩვეულებრივი ლობიო.

ლობიო ძირითადად გამოიყენება სასურსათოდ. ეს განპირობებულია იმით რომ, ლობიო მდიდარია ცილებით (ჯიშების მიხედვით) 20-30% -მდე ნახშირწყლებით 50-55%, აგრეთვე მისი თესლი შეიცავს 2-3.5%-მდე ცხიმს.

ლობიოს ცილა შეიცავს შეუცვლელ ამინომჟავებს, რომელთა მიღება აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის ზრდა განვითარებისთვის.

ლობიოს ცილა მონელებადობის მხრივ უახლოვდება ცხოველურ ცილას, მას ადამიანის ორგანიზმი კარგად ითვისებს. ლობიო კალორიულობით 3.5-ჯერ აღემატება კარტოფილს, 5-ჯერ აღემატება კომბოსტოს და ა.შ.

ლობიოს ***მწვანე პარკს*** აქვს მრავალმხრივი სასურსათო გამოყენება — ის მდიდარია ვიტამინებით, შეიცავს შაქარს, სახამებელს და სხვ.

ლობიოს მარცვლიდან და პარკიდან ამზადებენ სხვადასხვა სახის ცივ და ცხელ საუზმეს,საწებლებს, წვნიან საჭმელებს, და ამზადებენ სხვადასხვა ნაციონალურ კერძებს. ***ლობიოს თესლისაგან*** ამზადებენ ფქვილს, რომელიც გამოიყენება ხორბლის ფქვილთან ერთად საკონდიტრო წარმოებაში და მაკარონის დასამზადებლად. ლობიო პარკთან ერთად გამოიყენება საკონსერვო წარმოებაში. გარდა ამისა თესლის მოსავლის აღების შემდეგ ნარჩენი ნამჯა გამოიყენება საქონლის საკვებად. ლობიოს მწვანე ნორჩი ღერო- ფოთლისაგან ამზადებენ ლიმონის მჟავას.

ლობიოს აქვს დიეტური თვისებები გამოიყენება თირკმელების, ნაღვლის ბუშტის, ნერვიული სისტემის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების შემთხვევაში. მისგან ამზადებენ სხვადასხვა დაავადების სამკურნალო მედიკამენტებს.

ლობიოს აქვს უდიდესი აგროტექნიკური მნიშვნელობა. ის, როგორც სხვა პარკოსანი კულტურები აგროვებს ბიოლოგიურ აზოტს და საუკეთესო წინამორბედია თავთავიანი და სხვა კულტურებისთვის (პარკოსნების გარდა).

თესლის შერჩევა და თესვა

დასათესად შეძენილი უნდა იქნეს ზონისათვის დარეგისტრირებული ჯიში, რომელსაც უნდა ჰქონდეს თესლის ხარისხის დამადასტურებელი საბუთი. აზოტის ფიქსაციის გაძლიერების მიზნით ლობიოს თესლს უშუალოდ თესვის წინ ამუშავებენ ნიტრაგინით. ლობიოს თესვის სხვადასხვა წესი არსებობს: წმინდა ნათესი და სხვა კულტურაში შეთესილი. აგრეთვე, ლობიო ითესება მწკრივებად, კვადრატულ ბუდობრივად, ლენტური წესით, ლენტებს შორის 65 სმ, ხოლო ლენტებში მწკრივებს შორის 15 სმ.

წმინდა თესვას მიმართავენ დაბალმოზარდი (კუტი) ფორმების თესვისას მწკრივთა შორის 45-50 სმ. ხოლო კვადრატულ-ბუდობრივად ითესება მხვიარა ფორმები (ჯიშები) 60X60სმ კვების არეთ.

ლობიოს თესვისას ნორმა ჰექტარზე წმინდა თესვისას განისაზღვრება 60-120 კგ (ჯიშების მიხედვით: წვრილთესლიანი ჯიშები ითესება

რჩევები

კულტურა, რომელიც კარგადაა ნაცნობი

უფრო ნაკლები ნორმით, ხოლო მსხვილმარცვლიანი უფრო დიდი ნორმით). კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვისას 30-40 კგ — ია საჭირო.

გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ლობიოს ყველაზე დიდი მოსავალი მიღებულია ჰექტარზე 300-350 ათასი თესლის დათესვისას,რაც დაახლოებით უდრის 100-120 კგ/ჰა-ზე, ხოლო წვრილთესლიანი ჯიშებისათვის საჭირო იქნება 50-60 კგ/ჰა-ზე. საშუალო სიდიდის მქონე თესლისათვის კი იქნება მათი საშუალო ციფრი. ლობიოს მოკლე სავეგეტაციო პერიოდის ჯიშები ითესება სანაწვერალოდაც.

ლობიო სითბოს მოყვარული მცენარეა, თესლის გაღივებისათვის საჭირო ტემპერატურა 8-10 გრადუსს უდრის. ამასთანავე, ლობიოს ნორჩი ნაზარდი ადვილად ზიანდება 1-20 გრადუს ყინვის დროსაც კი. ამიტომ ლობიოს თესვა უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც ყინვების საშიშროება უკვე აღარ არის და ნიადაგის სახნავ ფენაში ტემპერატურა საკმაო იქნება მისი თესლის გაღივებისათვის.

საქართველოს აგრო-კლიმატური პირობების მრავალფეროვნების გამო ასეთი ტემპერატურა მის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა დროს მყარდება, ამიტომ ლობიოს თესვაც სხვადასხვა დროს უნდა ჩატარდეს, დაბლობ და თბილ ადგილებში თესვა შეიძლება დაიწყოს 5 აპრილიდან, შემაღლებულ და მთიან რეგიონებში 20 აპრილიდან.

ფერმერმა უნდა გაითვალისწინოს, რომ წყლის, ჰაერისა და საკვები ნივთიერებების ნორმალური რეჟიმი ლობიოს მაღალი მოსავლის მიღების საუკეთესო პირობაა. ამიტომ ნიადაგი ლობიოს ნათესის ქვეშ ყოველთვის უნდა იყოს ფხვიერი და სუფთა მდგომარეობაში.

პირველი კულტივაცია წარმოებს ლობიოს პირველადი ფოთლის განვითარების შემდეგ. მას უნდა მიყვეს თოხნა. გათოხნიდან 10-15 დღის შემდეგ უნდა ჩატარდეს მეორე კულტივაცია თან თოხნა. ნიადაგის დასარეველიანების მიხედვით განისაზღვრება შემდგომი ღონისძიებები. სარეველების წინააღმდეგ შესაძლებელია გამოვიყენოთ ჰერბიციდი.

რწყვა

სარწყავ პირობრბში ლობიოს პირველი მორწყვა შეიძლება ჩატარდეს დათესვისთანავე (ამინდის მიხედვით), მორწყვის რაოდენობა დამოკიდებულია ნიადაგის ტიპზე, რელიეფზე და ამინდზე. მორწყვის შემდეგ თუ ნიადაგი პირს შეიკრავს, საჭიროა კულტივაცია, ამიტომ, მორწყვა ტარდება კულტივაციის ან თოხნის წინ.

ცხელი ამინდის პირობებში რწყვა დილის და საღამოს საათებში უნდა ჩატარდეს ლობიო ვერ იტანს წყლის ჩადგომას. ტენის ნაკლებობა განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს მცენარეზე ყვავილობის პერიოდში, ტენის ნაკლებობა იწვევს ყვავილის ცვენას. აუცილებელია რწყვა ჩატარდეს დაკოკრების ფაზაში. კუტი საადრეო ლობიოს ჯიშებისათვის ვეგეტაციის განმავლობაში საკმარისია 3-4 მორწყვა, ხოლო საგვიანო ხვიარა ჯიშებისათვის 5-6 -ჯერ და შეიძლება მეტიც იყოს საჭირო.

ისრაელის საელჩო კახეთში ნინოწმინდის ფერმერთა სკოლას დაეხმარება

ისრაელის ელჩი საქართველოში, იუვალ ფუქსი მეუღლესთან, სანდასთან ერთად ხუთშაბათს კახეთში ნინოწმინდის ფერმერთა სკოლას ეწვია. კოლეჯი საქართველოს პატრიარქის ფონდის, “ლაზარეს” თანადგომით 2000 წელს დაარსდა.

ვიზიტის დროს სანდა და იუვალ ფუქსებმა კოლეჯის აქტივობების შესახებ მიიღეს ინფორმაცია. ისინი პროექტის მენეჯერს, ლალი ალფაიძეს შეხვდნენ, რომელიც “მაშავის” კურსდამთავრებული და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენელია.

სკოლისა და ნინოწმინდას დედათა მონასტერის მონახულებისას ისრაელის ელჩს მამა გიორგი ახლდა, რომლის მრავალ მოვალეობათაგან ერთ–ერთი ფონდი “ლაზარეს” თაოსნობაცაა. ისრაელის საელჩოსა და “მაშავის” გადაწყვეტილებით, ნინოწმინდის სკოლას მებოსტნეობისა და მეხილეობის დარგში აქტივობების გასაფართოვებლად “მაშავის” კურსდამთავრებულთა მიკროგრანტი (10 ათასი დოლარი) გადაეცემა.

ქარელის მაცნე

№6(116) 2016 წელი, 16-31 მარტი

ჩვენს მუნიციპალიტეტში

გიორგიწმინდის თემი

კომლი – 900, მოსახლეობა – 2940

<u>გიორგიწმინდა –</u>

კომლი – 847

მოსახლეობა – 2775

<u>ანთოკი –</u>

კომლი

35

მოსახლეობა – 105

<u>მარიამჯვარი</u>

კომლი – 18

მოსახლეობა – 60

მიწის ფართობი სულ – 4877ჰა

აქედან: კერძო – 1911ჰა

მუნიციპალური – 33ჰა

სახელმწიფო –2933ჰა

სასოფლო-სამეურნეო მიწები სულ – 3900ჰა

აქედან:

კერძო – 1911

მუნიციპალური – 33ჰა

სახელმწიფო – 1956ჰა

სახნავი სულ – 2423ჰა

აქედან

კერძო – 1700ჰა

სახელმწიფო – 723ჰა

სათიბი – სულ 0

საძოვარი სულ – 925ჰა

აქედან:

კერძო – 155ჰა

მუნიციპალური – 33ჰა

სახელმწიფო – 737ჰა

მრავალწლიანი ნარგავები სულ – 552ჰა

კერძო – 552ჰა

<u>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება</u>

გიორგიწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (***მენეჯერი* ნაზი ჯამალაშვილი**) 1972 წლიდან ფუნქციონირებს. აქ სკოლამდელი აღზრდის პროგრამას ოთხ სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფში გიორგიწმინდელი, ანთოკელი და მარიამჯვარელი აღსაზრდელები ეუფლებიან. ისინი 97 არიან, მათგან 21 სასკოლოა. მათ აღზრდა-განვითარებაზე კი მთელი პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალია მობილიზებული: აღმზრდელ-პედაგოგები: თამარ როსტომაშვილი, ია ალექსაშვილი, მაია გუგუტიშვილი, თამარ კაკუტაშვილი, მუსიკის მასწავლებელი ეთერ იანვარაშვილი, ფსიქოლოგი თინათინ მარიდაშვილი, ლოგოპედი ქეთი კოხტაშვილი, მეთოდისტი ნაზი ჭიაბერაშვილი, აღმზრდელის თანაშემწეები: ლეილა ხვთისავრიშვილი, დალი კავთუაშვილი, ლია კაკუტაშვილი, თამარ სუხიაშვილი, მზარეული – ია ოქრომჭედლიშვილი და მისი თანაშემწე – მარინა ტიგინაშვილი, მედდა – ნათია ბეჟიტაშვილი, დამლაგებელი ნონა ფარეშიშვილი.

დაწესებულების მენეჯერი ქ-ნი ნაზი აქ 1972 წლის მაისიდანაა ხელმძღვანელ პოსტზე – დღიდან დაწესებულების გახსნისა. მაშინ ორი ჯგუფი ფუნქციონირებდა. ამ ორი ათეული წლის წინ დაწესებულების გარშემო არსებული მიწის ნაკვეთი, რომელიც 1 ჰა-ს შეადგენს, საოცარ ბაღს წარმოადგენდა, ნაირ-ნაირი ყვავილებით, ათასგვარი მწვანილეულით, ვარდების ნერგებით, ლამაზად გაფორმებული ეზო მხოლოდ აღსაზრდელებს და აქაურებს არ იზიდავდა, აქ სხვა სოფლებიდან მოდიოდნენ საბავშვო ბაღის გამგეები და ადამიანები, უბრალოდ, დასათვალიერებლად და სიახლის გადასაღებად. დღეს ეს 1 ჰა დაუმუშავებელი და მოუვლელია, ერთი უბრალო მიზეზის გამო – არც მეეზოვის შტატია და არც მებაღის. თუმცა, ადვილი შესაძლებელი იყო, ამ ადგილის ისევ წალკოტად ქცევა. დაწესებულების შენობას სადღეისოდ მხოლოდ შიდა კოსმეტიკური რემონტი ესაჭიროება. აქ კეთილმოწყობილია სამზარეულო – ცივი და ცხელი გამდინარე წყლით, შენობა უზრუნველყოფილია გათბობით, გასულ წელს აქ გაკეთდა კანალიზაციის ახალი სისტემა, „სოფლის პროგრამით“ გასულ წელს აქ ეზოს დანადგარები შეიძინეს და დაამონტაჟეს. ყოველივე ამ საკითხის მოგვარებაში მენეჯერი მადლობის სიტყვებს არ იშურებს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის, აიპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების“ დირექტორის ელზა

გილაშვილის, საკრებულოს დეპუტატის გიორგიწმინდიდან – ივანე ბეჟიაშვილის მისამართით და გამოთქვამს იმედს, რომ ისინი კვლავაც გიორგიწმინდის თემის აღსაზრდელთა დასახმარებლად ძალას არ დაიშურებენ.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დღესაც გრძელდება მშობელთა აქტივობები, აქ ხშირად, სისტემატურად იმართება მშობელთა კრებები, სემინარები მშობელთა ჩართვის გააქტიურებისათვის აღსაზრდელის ერთობლივი პროგრამით აღზრდისათვის. ყოველი სამუშაო დღის დასასრულს მშობლები ეცნობიან იმ პროგრამას, იმ მასალას, რაზედაც დღის განმავლობაში მათ შვილებთან აქაურმა პედაგოგებმა იმუშავეს და მათ ეძლევათ საშუალება სახლშიც გააგრძელონ იმ დავალებების შესრულება, რაც აღსაზრდელს მიეცა დაწესებულებაში. მშობლები, ასევე, აქტიურობენ სხვადასხვა დღესასწაულების მომზადების საქმეში. თითოეულ სააღმზრდელო ჯგუფში 3-3 მშობელია წარმოდგენილი მშობელთა კომიტეტში, რომლის თავმჯდომარე თამუნა მარიდაშვილია. ისინი მთელი პასუხისმგებლობით არიან ჩაბმული დაწესებულების მუშაობაში, მორიგეობენ ჯგუფებში, ყურადღებას აქცევენ აღსაზრდელის კვებას, მეცადინეობებს, დღის ბოლოს კი მოსაზრებების, წინადადებების ყუთში ათავსებენ თავიანთ მოსაზრებებს, ასევე განვლილი დღით მიღებულ შთაბეჭდილებებს წერენ შთაბეჭდილებათა წიგნში...

საკრებულოს დეპუტატი ვანო ბეჟიაშვილი

<u>საჯარო სკოლა</u>

გიორგიწმინდის საჯარო სკოლის (***მენეჯერი* მერი ჭიაბერაშვილი**) 13 საფინანსო კლასში 232 მოსწავლეა, საიდანაც პირველკლსელია – 25, ხოლო მეთორმეტეში – 22 მოსწავლე სწავლობს. სკოლის 29 პედაგოგიდან 6 სერტიფიცირებულია. გასულ წელს სკოლის 17 კურსდამთავრებულიდან 7 უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა.

აქაური მოსწავლეები, სკოლის მენეჯერის თქმით, თითქმის ყველა აქტივობებში არიან ჩართულნი. მათგან ყველაზე აქტიურები არიან: ლარისა ქვრივიშვილი, თინათინ გორელაშვილი, ნინო ბეჟიაშვილი, თამარ დარბაისელი, ლექსო დიღმელაშვილი, გიორგი კევლიშვილი.

მოსწავლეები თინათინ გორელაშვილი, თამარ დარბაისელი პედაგოგ თამარ სვიმონიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტში „კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“ არიან ჩაბმულნი.

პროექტში „გახდი აქტიური, ეს შენი მომავალია“, რომელიც მოსწავლეებისათვის პროექტების წერას და და მართვას, ბიზნესგეგმების წერას და მართვას, ლიდერის უნარ-ჩვევების გამომუშავებას ითვალისწინებს, მოსწავლეები ქართული ენისა ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ქეთევან ქვრივიშვილის ხელმძღვანელობით არიან ჩაბმულნი.

საჯარო სკოლის დირექციისა და პედკოლექტივის წარმომადგენლები

პირველკლასელთა მასწავლებელი ნინო ლაფაჩიშვილი

სკოლის პირველი საფეხურის სწავლებას 128 მოსწავლე „ჯიპრაიდის“ პროექტშია ჩართული, რომლის I ეტაპი მათ წარმატებით გადალახეს.

სკოლის სამსართულიანი შენობა 1978 წელს შევიდა ექსპლოატაციაში. ასეთი არქიტექტურული ტიპის სკოლა ყოფილი სსრკ-ს მასშტაბით იშვიათი იყო. დღესაც ყველა აღფრთოვანებაში მოჰყავს ღია აივნებს დახურული დერეფნების ნაცვლად და ოთხკუთხედის ფორმის შენობაში ღია ბაღს. მაგრამ... კლიმატური პირობები ისეთ პრობლემებს უქმნის აქ მომუშავე პერსონალს, რომ თავად ვეღარ ხედავ სხვისთვის „თვალისმომჭრელ“ სილამაზეს. ხშირი ქარები, თოვლი, ყინვა, მცხუნვარე მზე თავისებურ სირთულეებს წარმოქმნის და ეს სირთულეები აგერ 38 წელია გრძელდება...

<u>სამედიცინო ამბულატორია</u>

თემის 2600 მცხოვრების ჯანმრთელობას ***ოჯახის ექიმი* ბელა დუჩიძე** ემსახურება. დანარჩენს კი ***ოჯახის ექიმი* ლიანა შოთაძე.**

ბელა დუჩიძე აქ 1992 წლიდან მუშაობს. მანამდე კი, ორი წლის განმავლობაში საგარეჯოს ბავშვთა საავადმყოფოს პედიატრი იყო.

ოჯახის ექიმი ბელა დუჩიძე

<u>მოსახლეობის საქმიანობა</u>

გიორგიწმინდის თემის მოსახლეობა სოფლის მეურნეობის ტრადიციულ დარგებს მისდევს. აქაურ ნაყოფიერ მიწებზე გაშენებული აქვთ ვენახი, რომელიც 552 ჰა-ს მოიცავს. მათ გასულ წელს 400 ტონა ყურძენი მიჰყიდეს ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ ქარხნებს, მოიწიეს ხორბალი, ქერი.

დღეს აქაურები იმ გზებს ეძიებენ, რომლის საშუალებითაც მოახერხებენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების აღორძინებას და ამით ხელს შეუწყობენ საკუთარ ოჯახებსაც და იზრუნებენ სახელმწიფოს გაძლიერებისათვის.

17 მარტს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლის ვასილ მჭედლიშვილის მიერ წარმოდგენილ პრო-

სკოლის სპორტული დარბაზი

<u>დასასრული მე-5 გვერდზე</u>

მედიცინა

ტუბერკულოზი ვერაგი დაავადებაა

დაავადება ტუბერკულოზი ცნობილია უძველესი დროიდან, იგი დღესაც ზოგად საკაცობრიო პრობლემას წარმოადგენს. ყოველი წლის 24 მარტს მსოფლიო აღნიშნავს ტუბერკულოზის დღეს.

ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატებით მკურნალობამ მკვეთრად შეამცირა ტუბერკულოზით ავადობა და სიკვდილობა, თუმცა XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მთელს მსოფლიოში კვლავ აღინიშნა ტუბერკულოზის შემთხვევათა მატება. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში იგი უკავშირდებოდა შიდსის გავრცელებას, საქართველოში კი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუარესება გამოიწვია 1991-1994 წლებში მიმდინარე სამოქალაქო ომმა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების კონფლიქტებმა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრმა გაუარესებამ, ჯანდაცვის სისტემაში შექმნილმა პრობლემებმა.

ტუბერკულოზთან ბრძოლის მრავალწლიანი სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების შემდეგ (1995 წლიდან) საქართველოში მდგომარეობა გარკვეულწილად გაუმჯობესდა, მაგრამ სიტუაცია ჯერ კიდევ სერიოზულია.

ტუბერკულოზი არ წარმოადგენს მხოლოდ რომელიმე ერთი ქვეყნის პრობლემას, ტუბერკულოზი მსოფლიო პრობლემაა. ტუბერკულოზით მსოფლიოში:

ყოველწლიურად 8-9 მილიონი ადამიანი კვდება.

ტუბერკულოზი არის ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს ტუბერკულოზის მიკობაქტერიები. ტუბერკულოზური პროცესი უხშირესად ვითარდება ფილტვებში, გარდა ამისა იგი შეიძლება განვითარდეს ნებისმიერ სხვა ორგანოში (თავის ტვინის გარსები, ძვლები, სახსრები, თირკმელები, შარდის ბუშტი და ა.შ. – ე.წ. ფილტვგარეშე ტუბერკულოზი).

ინფექციის ძირითად წყაროს სასუნთქი სისტემის ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანი წარმოადგენს, რომელიც ხველების, ცემინების ან საუბრის დროს ჰაერში გამოყოფს მიკობაქტერიების შემცველ უმცირეს წვეთებს. ჯანმრთელი ადამიანი შეიძლება დაინფიცირდეს მიკრობებით გაჯერებული ჰაერის ჩასუნთქვის შედეგად.

ტუბერკულოზით დასნებოვნების ალბათობა განსაკუთრებით მაღალია მაშინ, როდესაც ჯანმრთელი ადამიანისა და ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანის კონტაქტი ხდება დახურულ და ცუდად განიავებულ გარემოში ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ტუბერკულოზით დასნებოვნება შეიძლება მოხდეს საკვების გზითაც, მაგალითად ინფექცია ორგანიზმში შეიძლება შეიჭრას ტუბერკულოზური მიკობაქტერიების შემცველი აუდუღარი რძის ან რძის პროდუქტების მიღებისას. ასეთ შემთხვევაში ინფექციის წყაროს წარმოადგენს ტუბერკულოზით დაავადებული საქონელი.

ფილტვგარეშე ტუბერკულოზი ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით საშიში არ არის. ჭურჭლით ან სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით (პირსახოცით, თეთრეულით) ტუბერკულოზი არ გადადის.

ადამიანთა დიდი უმრავლესობა ინფიცირებულია ტუბერკულოზის ჩხირით, თუმცა დაავადება მათგან მხოლოდ 10%-ს უვითარდება.

დაინფიცირების შემდეგ დაავადების განვითარების მაღალი რისკის ჯგუფებს წარმოადგენენ:

1. არასრულფასოვან (ცილით ღარიბ) კვებაზე მყოფი პირები, მათ შორის სოციალურად დაუცველი ადამიანები (უსახლკაროები, მარტოხელები, მიგრანტები, დევნილები).
2. ავადმყოფები, რომლებიც ხანგრძლივად იღებენ სტეროიდულ ჰორმონებს, აგრეთვე სხვადასხვა ონკოლოგიურ დაავადებებს, აგრეთვე სხვადასხვა ანთებითი ხასიათის დაავადებებს, ინფექციურ თერაპიაზე მყოფი პირები.
3. სხვადასხვა თანმხლები დაავადების მქონე პირები (შაქრიანი დიაბეტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება) და ა.შ.
4. ალკოჰოლის ჭარბი მომხმარებლები.
5. ნარკომანები.
6. შიდსით დაავადებული პირები.

რა ნიშნები ახასიათებს ტუბერკულოზს?

ტუბერკულოზის ზოგადი სიმპტომებია:

სხეულის ტემპერატურის მომატება, განსაკუთრებით დღის II ნახევარში.

ადვილად დაღლა, ღამის ოფლიანობა, მადის დაქვეითება, წონაში დაკლება, შრომისუნარის დაქვეითება,.

ფილტვის ტუბერკულოზის დროს შეიძლება აღინიშნებოდეს:

დასასრული მე-6 გვერდზე

საგარეჯოელი შშმპ-ები „... ბრძოლაა საჭირო“...

დღეს განსაკუთრებული ყურადღებაა მიპყრობილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ისეთი საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად, რომელიც მათ მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებთ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას. როგორც იქნა, დიდ ქალაქებში მათი ადვილი და მარტივი გადაადგილებისათვის გამოიყო სპეციალური ბილიკები – მიწისქვეშა გადასასვლელებში, მეტროს სადგურებსა და ქუჩებში უსაფრთხო გადაადგილებისათვის, ასევე, შენობების შესასვლელებს გაუკეთდა ე.წ. „პანდუსები“, მოქმედებს სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო პროგრამები. დავინტერესდით საგარეჯოში მოქმედი ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციის „სიცოცხლე გწყურია?! ბრძოლაა საჭირო“ საქმიანობით და მის თავმჯდომარეს **სულიკო (სოლომონ) ჯამალაშვილს** გავესაუბრეთ:

ცნობისათვის: სულიკო (სოლომონ) ჯამალაშვილი დაიბადა 1959 წელს სოფელ გიორგიწმინდაში. გიორგიწმინდის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა საგარეჯოს პოლიტექნიკურ ტექნიკუმში განაგრძო. 25 წლის ასაკში ავტოავარიის დროს მიღებული მძიმე ტრავმების შემდეგ სავარძელს მიჯაჭვული დღესაც აგრძელებს თავის შრომით საქმიანობას. 30 წლიდან კი წერს ლექსებს...

როგორც მან გვითხრა:

– **ჩვენი** ორგანიზაცია 2013 წლის მაისში დაარსდა, რომლის დაარსებაში ოთხმა ადამიანმა: ვაჟა ასლამაზიშვილმა, ნანა ბუზარიაშვილმა, გიორგი ღრეულმა და მე მივიღეთ მონაწილეობა. ჩვენთან ახლა 40 კაცია გაერთიანებული – ასაკი არ არის განსაზღვრული. ჩვენთან არიან ბავშვები, სამამულო და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომებში მონაწილე ვეტერანები, ინვალიდები. კონტიგენტი დიდია, შეიძლება 100 და 100-ზე მეტი ადამიანიც გაერთიანდეს ჩვენთან, მაგრამ სასიკეთოს ჩვენ ვერაფერს ვპირდებით. 2013-2014 წლებში ჩვენ მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს დახმარებით 3 დეკემბერს – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღეს მოვაწყეთ კაფე-სადამო, სადაც ჩვენს ბენეფიციარებს გადაეცათ საჩუქრები. საპატრიარქომ ფუტკრის 5 სკა გვაჩუქა. 2013 და 2014 წლები მოუსავლიანი წლები იყო, ვერ მოხერხდა მისი გამრავლება. გასულ წელს კარგი პერიოდი იყო, მაგრამ ფუტკარს ხელშეწყობა უნდა. დაახლოებით 20-25 სკა რომ გვქონოდა, ღირდა ხარჯის გაწევაც – მოგეხსენებათ, ფუტკარი მომთაბარეობისას უფრო მეტ შემოსავალს იძლევა. 5 სკის გამო კი ხარჯის გაწევა არც ღირს... თითქოს გვპირდება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ამ კუთხით დაფინანსებას, ხელის წახმარებას, მაგრამ... 2015 წელს გვქონდა პროექტი, რომლის განხორციელების შემთხვევაში ჩვენ შევძლებდით კვერცხმდებელი ქათმის მოვლას, კვერცხის რეალიზაციას, შემოსავალი კი მოგვეხმარებოდა მეფუტკრეობის შემდგომ განვითარებაში. ახლახანს გერმანიის საელჩოს წარვუდგინეთ პროექტი მეფუტკრეობის განვითარებისთვის. მოგეხსენებათ, რამდენ ადამიანს დაასაქმებს, რა შემოსავალს მოუტანს ჩვენს ორგანიზაციას, რითაც შევძლებთ ჩვენი ორგანიზაციის წევრების დახმარებას. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა გვპირდება ფუტკრის შეძენას, ვნახოთ...

ჩვენ გვინდა „საქართველოს ბანკთან“ არსებული „სიცოცხლის ხეს“ ფონდსაც წარვუდგინოთ პროექტი, თუ დაგვაფინანსებენ, გამოვუშვებთ ჟურნალს, რომელსაც უფასოდ გავავრცელებთ და მკითხველი მასში მნიშვნელოვან ინფორმაციებს მოიძიებს...

პრობლემები

დასასრული

ექტს „აწარმოე საქართველოში“ დიდი ინტერესით შეხვდნენ აქაურები. ამ პროექტის განხორციელება, როგორც ცნობილია, ხელს შუწყობს ცალკეული ადამიანების, ოჯახების ბიზნეს-გეგმის განხორციელებას. შეხვედრაზე მოსულმა 33 წლის ***იოსებ კევლიშვილმა*** თავისი სამომავლო გეგმა, მიზნები გააცნო ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებს. როგორც მან თქვა: – ახალშენი ვენახი, რომელიც 2 ჰა-ზე აქვს გაშენებული უკვე 2 წლისაა. ასე, რომ მას უკვე შეწამლვა დასჭირდება. მართალია, თვითონ ჰყავს ტრაქტორი, რომლითაც ახდენს თავთავიანი კულტურების, ვაზის შეწამლვას, მაგრამ როგორც მისთვის ცნობილი გახდა, გასულ წელს კახეთში გამოჩნდა ვაზის შესაწამლი აპარატი, რომელიც ვენტილაციით (ფოთოლს ყველა მხრიდან ასხურებს შესაწამლ მასალას) ახდენს შეწამლვას.თუ პროექტში ჩართავენ და თანადაფინანსებით აპარატს შეაძენინებენ, ამ აპარატით მხოლოდ საკუთარ მიწის ნაკვეთზე გაშენებულ ვაზს არ მიხედავს, თანასოფლელების და სხვა სოფლის მოსახლეობის ვენახებსაც დაამუშავებს... ვნახოთ, იქნებ გაუმართლოს და პროექტის განხორციელებაში ჩაერთოს.

ზინა ტაბატაძე, ლია მღვდელაძე და ნინო შიოშვილი ანთოკიდან არიან. აქ პროექტ „აწარმოე საქართველოში“ გასაცნობად და თავიანთი გეგმის განსახორციელებლად, დეტალების დასაზუსტებლად მოვიდნენ – ანთოკსა და მარიამჯვარში მოიპოვება თიხა, რომელსაც აქაურები მეთუნეობაში იყენებენ. ქალბატონ ზინას თიხის ნაკეთობების გაკეთებასა და მოჭიქვა-მოხატვის ათეული წლების გამოცდილება აქვს. იგი თბილისის იმ კერამიკულ საწარმოში მუშაობს, რომელსაც პროდუქცია საზღვარგარეთის ქვეყნებში გააქვს. ახლა კი ანთოკელ ქალბატონებს იმ რესურსის გამოყენება სურთ, რომელიც თავიანთ სოფელში მოიპოვება, და ამ მიზნისათვის თანადაფინანსების

სოსო კევლიშვილი

ჩვენს მუნიციპალიტეტში

გიორგიწმინდის თემი

პროექტ „აწარმოე საქართველოში“ გაცნობა

გზებს ეძიებენ...

ინფრასტრუქტურა

გასულ წლებში „სოფლის პროგრამით“ თემში შემავალ სოფლებში მთელი რიგი პროექტები განხორციელდა: გიორგიწმინდის ცენტრალური გზის 2,6 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწესრიგება, ჭაბურღილების მოწყობა, ცენტრალურ ქუჩაზე გარე განათების მოწყობა; ანთოკში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა, რეზერვუარების მოწესრიგება, სასოფლო გზების მოხრეშვა; **მარიამჯვარში** – სასმელი წყლის სათავე ნაგებობების მოწესრიგება, სისტემის გაწმენდა და დაქლორვა სასოფლო გზების მოხრეშვა და ა.შ. მიმდინარე წელს **სოფელ გიორგიწმინდაში** სასმელი წყლის ჭაბურღილის

სკოლის შენობის შიდა ხედი

მოწყობისათვის „სოფლის პროგრამით“ 47407 ლარია გამოყოფილი; **სოფელ ანთოკში** სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციისათვის 5307 ლარია გამოყოფილი, მარიამჯვარში სასმელი წყლის ცენტრალური მილის შესაცვლელად 4756 ლარი გაიხარჯება.

მიმდინარე წელს კაპიტალურად შეკეთდება ***სოფლის საექიმო ამბულატორია,*** რომელიც დღეს ამორტიზებულია. საამისოდ 18000 ლარია გამოყოფილი

საჭიდაო დარბაზი

დარბაზში 45 მოსწავლეს ძიუდოს სექციის მწვრთნელები **ბადრი ბასილაშვილი, გოჩა მეკოკიშვილი და გიორგი მარიდაშვილი** ასწავლიან.

კულტურულ-მატერიალური ძეგლები

გიორგიწმინდის თემის ტერიტორიაზეა: კვირიკეს, ღვთიმშობლის, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიები, პაპუნაშვილების მარანი (ანთოკი), პირიღვთისას, თეთრი გიორგის, წმინდა გიორგის, ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიები, მრგვალი კოშკები, კოშკის გორა (გიორგიწმინდა), წმ. მარინეს სახელობის ეკლესია (მარიამჯვარი).

„გაზაფხული შემოსულა...“

წაუკითხეთ პატარებს

თეა გოგრიჭიანი-მეკოკიშვილი

თეამ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი 2002 წელს დაამთავრა, ოჯახი შექმნა, ჰყავს სამი შვილი. წერს ლექსებს, ჩანახატებს...

დღეს მისი ნაწერების პირველი გამოქვეყნებაა...

გაზაფხული

გაიღვიძა იამ, თავისი ლურჯი წამწამები დაახამხამა და ისეთი სურნელი ამოაფრქვია, მაყვლის ბუჩქის ტოტზე ჩაძინებული, გაბერილი, ბუმბულში კისრიანად თავჩაყოფილი ბელურაც გამოაღვიძა.

– უჰ, რა სულის საამებელი სუნია, დიდება შენდა ღმერთო! ეს გაზაფხულის მახარობელი ია იქნება. გული ამიჩქარდა. რა სასიამოვნო შეგრძნებაა, როცა ხვდები, რომ ზამთარი დასრულდა და ფრთხილად მოიპარება, მიწის ქვეშიდან იებისა და ენძელების სახით, თბილი და სურნელოვანი გაზაფხული:

ტყის გულ-მკერდის მშვენებავ,
იავ, ლურჯთვალავ, მზიანო!
შენი მოსვლითა რომ ცდილობ
სხვის ყოფაც გაამზიანო.
იავ, სიმდაბლით მოსილო,
მშვიდო, ალერსით მთრთოლვარე,
შენს გამოჩენას ვუმღერი
მშობელი მიწის მოყვარე.

– გამარჯობა ბელურა, შენ ზამთარში არსად წასულხარ?!

– არა. მე ჩემს ქვეყანას სიყვარულის გამო ვერ ვტოვებ. ცივ და სუსხიან დღეებს კი სამშობლოსადმი ერთგულება და სიყვარული მატანინებს ხოლმე.

– რა სასიამოვნო მოსასმენია შენი ჭიკჭიკი. მერედა ასეთ პაწაწინა ჩიტუნას საიდან გაქვს ამხელა გული?!

– ღვთისაგან. ვინც უფლისაა, ის რაოდენ პაწაწინაც უნდა იყოს,– მაინც უშველებელი გული ექნება. ეს ღვთისა და კაცის ერთობლივი სურვილის შედეგად მიიღწევა.

– მართლა?! ჩემი ნებით მეც არსაით მივდივარ, როცა სისუსტეს ვგრძნობ, აქვე, მშობლიურ მიწაში ჩავიფერფლები ხოლმე... ნელ-ნელა, სხვათა შეუმჩნევლად.

– ასეთია ყველა, ვინც უფლის სიტყვას თავმდაბლად და სიყვარულით ასრულებს.

– მადლობა უფალს ყველაფრისათვის. რამდენიმე დღის სიცოცხლე მაქვს მისგან ნაბოძები. და ამ მცირე დროში პატივი მერგო გამეცნო შენისთანა ღვთისმოშიში, სამშობლოსმოყვარე, ტკბილად მოსაუბრე პატარა ჩიტუნია, რომელმაც კეთილად მისალმების სიამოვნება მომანიჭა. ნეტავ ჩვენი საუბარი ვინმეს მოასმენინა, ისეთს, ვინც სხვასაც გაანდობს ნათელი მისალმების დიდ საიდუმლოს, რათა დედამიწაზე მცხოვრებ ყველა არსებას შორის კეთილი დამოკიდებულება დამყარდეს, ყოველი მისალმება, რომელიც მათ შორის წარმოითქმება, იყოს უბოროტო, სუფთა და ერთმანეთის სიყვარულით გაჟღენთილი.

ეთერ გოგოლაძე-გულისაშვილი

ეთერ გოგოლაძე 4 შვილის დედა და 8 შვილიშვილის ბებიაა. ლექსებს თავის პატარა, ლამაზ შვილიშვილებს უწერს...

დედა მომილოცია

ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ, ჩიტუნები
ჭიკჭიკებენ ლაღად,
ჩემო ტკბილო დედიკონა
მოგილოცავ 3 მარტს!
გაზაფხულის მაცნე არის
ლურჯთვალება ია,
ქალთა დღესასწაული
დედა მომილოცია!
შენს ჭაღარას შემოვევლე,
თმები გაგთეთრებია,
რვა მარტი და გაზაფხული
დედა, მომილოცია!
ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ ჩიტუნები
ჭიკჭიკებენ ლაღად,
ჩემო საყვარელო დედა
მოგილოცავ 3 მარტს.

***

დღეს პირველი მარტია,
გაზაფხულის სუნია,
ყვავილების სურნელი
მართლაც საამურია.
მე ხომ ბაღში მივდივარ,
მოვალ, მომიხარია,
იქ ყოველთვის ბავშვების
დიდი ჟრიამულია.
დღეს პირველი მარტია.
ბავშვი მუდამ ლაღია.
სადაც, მისი სამყარო
და საბავშვო ბაღია.

***

გაზაფხული მოდის,
სიხარული ჩვენი,
უნდა მოგვიტანოს
ბედნიერი დღენი –
სამი მარტი – დედის
და რვა – ქალის ლაღის...
და რამდენი კიდევ
სიხარული გველის.

ტუბერკულოზი ვერაგი დაავადებაა

დასასრული

გახანგრძლივებული (2 ან მეტი კვირის განმავლობაში) ხველა უპირატესად ნახველის გამოყოფით.

სისხლიანი ხველა.

ფილტვებიდან სისხლდენა.

ტკივილი ან უსიამოვნო შეგრძნება გულმკერდის არეში.

ჰაერის უკმარისობა.

ტუბერკულოზზე საეჭვო სიმპტომების არსებობისას მაშინვე მიმართეთ ექიმს დიაგნოზის დასაზუსტებლად.

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ პაციენტმა მკურნალობა დანიშნულების შესაბამისად თანმიმდევრულად, უწყვეტად და ზუსტად ჩაიტაროს. პაციენტისა და ექიმის ოპტიმალური თანამშრომლობის გარეშე, საუკეთესო მედიკამენტების გამოყენებაც კი სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. როდესაც ხდება ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების არარეგულარული მიღება ან მკურნალობის ვადაზე ადრე შეწყვეტა, შეიძლება განვითარდეს დაავადების მედიკამენტებისადმი გამძლე ფორმა, რომლის მკურნალობა შედარებით რთულია და შედეგიც ხშირ შემთხვევაში სასურველი არ არის.

წამლის მიღების თვითნებურად შეწყვეტის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ მკურნალობის დაწყებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ავადმყოფის თვითშეგრძნება უმჯობესდება და იგი თავს გამოჯანმრთელებულად თვლის.

თუ გინდათ განიკურნოთ, ჩაიტარეთ ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატებით მკურნალობის სრული კურსი ექიმის დანიშნულების მიხედვით.

გახსოვდეთ:

ტუბერკულოზისთვის დამახასიათებელი ჩივილების არსებობისას დროულად მიმართეთ ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერებსა და კაბინეტებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც სახელმწიფო სტანდარტის ფარგლებში უფასოდ ჩაგიტარდებათ საჭირო გამოკვლევები და მკურნალობა.

ლია კვერაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ექიმი

40 წლის ასაკში – ქვეყნის შეიარაღებული ძალების ჩემპიონი

23 თებერვალს ჩატარდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების ჩემპიონატი ძიუდოში უფროსი ასაკის მოჭიდავეთა შორის. ჩემპიონატში მონაწილეობას იღებდა აღნიშნული სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის, ეროვნული გვარდიის, მეოთხე მექანიზებული, მეხუთე, სენაკის, ვაშლიჯვრის ბრიგადებისა და მუხროვანის სამხედრო ბატალიონის ძიუდოისტები – მათ შორის ჩვენი თანამემამულე, ძიუდოს მწვრთნელი 2001 წლიდან, რესპუბლიკური და საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონი და პრიზიორი, ქართულ ჭიდაობასა და სამბოში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი და სპორტის ოსტატი, თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის აღმოსავლეთ ბატალიონის უფროსი პატრული კახა ყორღანაშვილი. აქტიური სპორტისათვის ხანდაზმულმა ჩვენებურმა 40 წლის მოჭიდავემ ამ ტურნირში შესაშური შემართება გამოიჩინა, მონდომებით იბრძოდა ტატამზე და არავის დაუთმო ჩემპიონის ტიტული 100 კგ წონით კატეგორიაში. ეს გამარჯვება მან თავისი მამისა და ჭიდაობის პირველი მწვრთნელის, საგარეჯოში კარგად ცნობილ;ი მოჭიდავისა და ფალავნის როინ ყორღანაშვილის ხსოვნას მიუძღვნა. ამავე ასპარეზობაში კიდევ ორი საგარეჯოელი ძიუდოისტი ცდიდა თავის ძალებს და საკმაოდ წარმატებულადაც. 60 კგ წონით კატეგორიაში ყველა მეტოქე დაჯაბნა და ჩემპიონი გახდა ეროვნული გვარდიის სახელით მოასპარეზე გიორგი კუპატაძე. 66 კგ წონით კატეგორიაში ვიცე-ჩემპიონი გახდა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სახელით მოასპარეზე თენგის მეკოკიშვილი.

გ. დაბახიშვილი

გარეჯული იუმორი

სვანი

(გელა ოსეფაშვილის მონაყოლი)

საგარეჯოს პოლტექნიკურ ტექნიკუმში სწავლისას ჯგუფელი გვყავდა – ცინდელიანი. ხშირად სასაცილო მდგომარეობაშივარდებოდა. ეხლაც ლექციაზე წინა მერხზე ვზივარ და ლექციას ვიწერ. უკან სიცილი ისმის. არ მივაქციე ყურადღება. ბოლოს დავინტერესდი და მივბრუნდი: ცინდელიანი გაფაციცებული იწერს ლექციას, შეაჩერებს მარჯვენა ხელს დაიქნევს მარცხენა ხელს (მარჯვენა წერისას ეღლებოდა) და ისევ გააგრძელებს წერას.

წმინდა გიორგი და მამაო

ვაზიანში განლაგებული საქართველოს გვარდიის ერთ-ერთი ნაწილის პოსტზე (№4 ბრიგადის) მორიგე ჯარისკაცს ამავე ნაწილის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიის მოძღვარი ტერიტორიაზე შესვლის ნებართვას სთხოვს. მორიგე მეთაურს ატყობინებს „რაციით" – უფროსო, წმინდა გიორგია (სიტყვა მამაოს მაგიერ) მოსულია და ტერიტორიაზე შემოსვლას ითხოვს, შემოვუშვაო? უფროსის მხრიდან ჯერ პაუზაა, შემდეგ კი ეუბნება: თუ ცხენითაა მოსული, უთხარი, ცხენი გარეთ დააბას და თვითონ ქვეითად შემოვიდესო.

„ჯეო-ჰოსპიტალს“-ში

მეორე სართულის კიბეებს მძიმე ნაბიჯებით მიუყვება შავებში ჩაცმული, მოხუცი ქალი.-ბებო, ჰეი, ბებოო,– საიდანღაც პოსტზე უცბად გამოჩენილი დაცვის თანამშრომელი ადევნებს მხრებში მოხრილს,– სად მიდიხარ, სად?!

მოხუცი ნელ-ნელა ტრიალდება საფეხურზე, ტანის სიმაგრისათვის ხელს კიბის მოაჯირს კიდებს და იქიდან ომახიანად (თუ ხმამაღლა) დასძახებს: – რა შენი საქმეა, სად მივდივარ, შენ ვინა ხარ, შენ ჩაგაბარო „აჩოტები"?!

– ვინა ვარ და დაცვა ვარ, დაცვა,– გაბრაზებული პასუხობს ახალგაზრდა და ზურგზე არსებულ წარწერაზე ანიშნებს...

– აბა ერთი შატრიალდი, კარგად დაგინახო,– ეუბნება ბებო.

„დაცვაც" ზურგს აქცევს და მოხუციც კითხულობს „დაცვის პოლიცია“, წელში იმართება და იქიდან თოფის გრიალივით ისმის:

– წადი და ქურდები და მამაძაღლები დაიჭირე, თუ პოლიცია ხარ, აქ რა გინდა, ავანტყოფებს რა შენი დაცვა სჭირდება-ო და პირდაბჩენილ, ნირწამხდარ, „დაცვის“ ბიჭს ზურგს აქცევს, გაჭირვებით ააქვს საფეხურებზე ჩონჩხადქცეული სხეული...

ლომი საგარეჯოში

(ვასიკო დარბაისელის მონაყოლი)

მმკ №62-ის (სამშენებლო ორგანიზაცია) საქმიან ეზოში შევდივარ. შაბათია (მანქანაში ტრისტანიჩი მიზის უამრავ სანოვაგესთან ერთად – კოდაზე მივდივართ, ბიჭებმა უნდა ვიგუგუნოთ. წასვლამდე თადარიგი დავიჭირე, ორშაბათს რახან „პახმელიაზე“ ვიქნები, სამშენებლო მასალის „გამოწერა“ მინდა). დაძახილზე ეზოში არავინ მპასუხობს. მაღალი ძაბვის მავთულებია გაჭიმული და უამრავი საყრდენი ბოძია. „გაჭირვებული“ ერთ ბოძს მივადექი და ის იყო ჩემი საქმე დავიწყე, ვიგრძენი, უკანიდან ვიღაც მიახლოვდება. მოვიხედე... ლომი... ლომს აქ რა უნდა, გავიფიქრე და გავაგრძელე დაწყებული საქმე... მოვბრუნდი და რას ვხედავ, ლომი მიყურებს შიგ თვალებში... არ მახსოვს, ბოძზე სულ მაღლა „კოგტების“ გარეშე როგორ „ავირბინე“. „ტრისტანიჩი“ მიყვირის – ვასიკო, მაგრად მოეჭიდე, არ ჩამოვარდე, ბიჭოო – უკვე შიშისგან ღრიალებს. „ტრისტანიჩის“ ღრიალზე ვიღაც კაცი გამოჩნდა ეზოში. მაღლიდან მე ვღრიალებ „ლომია, ლომი, ნუ მოდიხარ“, მანქანიდან ცას ფხრეწავს „ტრისტანიჩის“ ღრიალი. კაცი მიუახლოვდა ლომს, თავში მუშტი ჩასცხო, ქეჩოში ხელი წაავლო და წაათრია. აღარც ის მახსოვს, როგორ ჩამოვედი დაბლა, სული მოვითქვი, როგორც იქნა...

მერე იმ კეთილმა კაცმა დაგვათვალიერებინა ეზოში გამართული ზოოპარკი: მელა, ტურა, მგელი, ლომი, დათვი და ა.შ... თურმე სამშენებლო ორგანიზაციის იმდროინდელ დირექტორს ზოოპარკი მოუწყვია საქმიან ეზოში.

ის ლომი მერე ერთ საგარეჯოელ „კანონიერ ქურდს“ აჩუქა. ჩაისვამდა მანქანაში, თანაც წინ, იმ ლომს და დაარბენინებდა ქუჩებში ძმაკაცივით. ერთხელ დაეკბინა და საგარეჯოს საავადმყოფოში მისული კინაღამ ფსიქიატრიულში მოათავსეს – ჰალუცინაციები გაქვს, საგარეჯოში ლომსა რა უნდაო...

იმ ჩემმა ნაცნობმა ლომმა იარა, იარა და ბოლოს შევარდნაძეს აჩუქეს. შევარდნაძემ კიდევ მეგობრობის დასამტკიცებლად საქართველოში სტუმრად მყოფ გენშერს აჩუქა, თქვენც გემახსოვრებათ, წითელბაფთაშებმული ქართველი ლომი გენშერმა თვითმფრინავით რომ წააბრძანა უცხოეთში...



დიდი ქვა ქვეყანა ევროპაში
სოფელი ქართლში
თვითმფრინ. გამცილებელი
ბერძნული ღვთაება
იაზონის ხომალდი
მანქანის სახეობა
ნიკო ლომოურის მოთხრობა
ეკლესიაში ანთია
ბანქო
წიაღისეული
მოდალატე მოწაფე
რომაელი პოლიტიკოსი
... ჭაჭავაძე
ფოტომონადირე
მდინარე ისრაელში
საპყარი
რუსი მწერალი
სპარსეთის დიდი მეფე
ქალაქი რუსეთში
ხმოვანი ჩანაწერი
ტაძარი კახეთში
ჭამის გიჟი
ბეჭდვითი მედია
... კოტორაშვილი
გაშლილი ხელით დარტყმა
ესპანური კლუბი
მხარე გერმანიაში
ფეოდალური ტიტული
ქართველი რეპერი
მოძღვრება იუდაიზმში
ერთგვარი ხელიკი
ბილიარდის ჯოხი
პლასტიკური მასალა
ფრინველი
აბრაამის ცოლი
ვაჟაფშაველას ლექსი
კედლის ნათურა
ბერძნული კუნძული
ბრიუს ...
ქალის სახელი
ოპერის ტექსტი
მეფის თანმხლებნი
ერთგვარი საკრავი
უმაღლესი სასწავლებელი
ალბანოს ჰიტი
ცნობილი ქართვ. მოკრიფეე
სასმელი
სისტემა გაერთიანება

სუდოკუ

მარტივი

				6	9			
	5	6	1			3	8	
8		9	3	2		4		
6		4	9				1	
3				5				4
	9				1	8		6
		2		4	3	7		8
	6	7			8	1	3	
			7	1				

საშუალო

6			1	3			8	
		5			6			1
	1	8	4				3	
5	6				1			4
		9		7		6		
1			6				5	9
	5				4	1	6	
9			8			5		
	8			1	7			2

რთული

				4	6		3	
	6	4	2			5		
					8		6	
		9	8			6	7	
7				3				2
	5	1			9	3		
	9		3					
		8			2	9	5	
	2		6	9				

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

7	4	5	1	6	9	3	8	2
1	9	3	2	8	5	7	6	4
2	8	6	7	3	4	1	9	5
3	1	2	4	9	7	6	5	6
8	5	9	6	1	2	4	7	3
6	7	4	8	5	3	2	1	9
4	3	1	9	7	8	5	2	6
9	2	7	5	4	6	8	3	1
5	6	8	3	2	1	9	4	7

2	3	1	8	4	7	9	5	6
6	4	7	3	5	9	1	2	8
5	8	9	1	6	2	7	3	4
4	5	8	2	9	3	6	1	7
9	2	3	7	1	6	4	8	5
7	1	6	4	8	5	2	9	3
1	7	5	6	2	8	3	4	9
8	6	2	9	3	4	5	7	1
3	9	4	5	7	1	8	6	2

8	6	1	5	4	2	7	9	3
4	9	7	6	3	1	8	5	2
5	2	3	9	7	8	1	6	4
3	5	2	1	6	7	9	4	8
7	1	9	3	8	4	6	2	5
6	8	4	2	5	9	3	1	7
1	4	5	7	9	3	2	8	6
9	3	6	8	2	5	4	7	1
2	7	8	4	1	6	5	3	9

კულტურა

საგარეჯოს თეატრმა სპექტაკლის პრემიერა ლიტვაში გამართა

საგარეჯოს მიხეილ ჭიაურელის სახელობის სახალხო თეატრი გასტროლზე ლიტვაში იმყოფებოდა. 19 მარტს, ქალაქ კაუნასში (ლიტვის რესპუბლიკაში) ნიკოლოზ საბაშვილის ახალი სპექტაკლის „მე, შენ, ის“ პრემიერა გაიმართა.

ერთმოქმედებიანი კლოუნადა სამი მსახიობი მამაკაცისგან შედგება, რომელსაც საგარეჯოს თეატრის მსახიობები: პაატა ქვლივიძე, მიხეილ ხოკერაშვილი და ირაკლი ლიპარტელიანი თამაშობენ. რეჟისორმა სპექტაკლში სიტყვის ბარიერი მოხსნა და „მე, შენ, ის“ ყველასთვის გასაგებ ენაზე წარმოადგინა. გასტროლი 5 დღის განმავლობაში გაგრძელდა, მსახიობებმა 19 და 20 მარტს სპექტაკლი ორ სხვადასხვა ქალაქში ითამაშეს და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს (ვრცლად მომავალ ნომერში).

პირველი საერთაშორისო ფესტივალი

„ნოვრუზ ბაირამი“ საგარეჯოში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ნოვრუზ ბაირამი აღინიშნა. „ნოვრუზი“ სპარსული სიტყვაა და “ახალ დღეს” ნიშნავს. ამ დღესთან დაკავშირებით, 22 მარტს, საგარეჯოს კულტურის სახლში, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია „ალამი“-ის პრეზიდენტის მიხეილ ლაფაჩიშვილის ორგანიზებით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის აქტიური მხარდაჭერით ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის პირველი საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა. ფესტივალში მონაწილეობა ქართველმა და აზერბაიჯანელმა ახალგაზრდებმა მიიღეს. დამსწრე საზოგადოებასთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ღონისძიებას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე დავით ივანიშვილი, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ ჯაბადარი და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მილოცვა

გაზაფხულის შემოსვლას,მარტის ლამაზ დღესასწაულებს ვულოცავთ ჩვენი გაერთიანების თანამშრომელ მანდილოსნებს! ვუსურვებთ ქალურ ბედნიერებას, სიკეთეს, სიხარულს.

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თანამშრომელი მამაკაცები

ვაჭის, პირველი შვილის დაბადებას და გაზაფხულის მოსვლას ვულოცავთ ჩვენს საამაყო მოჭადრაკეს, ჭადრაკის სექციის მწვრთნელს **ნანი უნაფქოშვილსა** და მის მეუღლეს **დათო თედიაშვილს**. გაგეზარდოთ ჭეშმარიტად მამულიშვილი ქართველი ვაჟაცი.

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თანამშრომელები

ჭადრაკი

კახეთის ჩემპიონატი საგარეჯოში

27-28 თებერვალს საგარეჯომ უმასპინძლა კახეთის ჩემპიონატს 12 წლამდე ასაკის ბიჭებსა და გოგონებს შორის.

ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღეს საგარეჯოს, თელავის, სიღნაღისა და გურჯაანის ნორჩმა მოჭადრაკეებმა.

ჩემპიონატი ჩატარდა წრიული სისტემით. მთავარი მსაჯი იყო ირაკლი ქვლივიძე.

წარმატებით ითამაშეს ჩვენმა ნორჩმა მოჭადრაკეებმა. ვაჟებს შორის **I ადგილი** დაიკავა **ნიკა კევლიშვილმა** (მწვრთნელი ირ. ქვლივიძე), რომელმაც ერთი შეხვედრა დაამთავრა ყაიმით ასევე, საგარეჯოელ ზუკა გამრეკელაშვილთან, დანარჩენი შეხვედრები კი მოიგო. მას გადაეცა შესაბამისი სიგელი და კახეთის ჭადრაკის ფედერაციისგან წმ. გიორგის ხატი.

II ადგილზე გავიდა **ლევან დალბაშვილი** (მწვრთნელი ელ. ფარეშიშვილი), რომელიც მხოლოდ ერთ პარტიაში დამარცხდა ჩემპიონთან. **მესამე ადგილზე** გავიდა 8 წლის **ზუკა გამრეკელაშვილი** (მწვრთნელი ირ. ქვლივიძე).

გოგონებში წარმატებით იასპარეზა 8 წლის **ნინო ესაიაშვილმა,** რომელმაც 12 წლიანებში დაიკავა **III ადგილი** (მწვრთნელი ნანი უნაფქოშვილი).

ზონალურ პირველობაზე

მიმდინარე წლის 4-13 მარტს ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი (II ლიგა, აღმოსავლეთის ზონა) 8, 10 და 12 წლამდე ასაკის ბიჭებსა და გოგონებს შორის.

წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა ნორჩმა მოჭადრაკეებმა 8 წლის **ზუკა გამრეკელაშვილმა**, რომელმაც 9 შესაძლებლობიდან 6 ქულა მოაგროვა 10 წლიანთა შორის. ასევე, ამავე ასაკში გოგონებს შორის წარმატებით იასპარეზა **ნინო ესაიაშვილმა**, რომელმაც 9 შესაძლებლობიდან 5,5 ქულა დააგროვა.

12 წლიან ვაჟებში **I ადგილი** დაიკავა **ლევან დალბაშვილმა** (8 ქულა 9 შესაძლებლობიდან და გახდა აღმოსავლეთ საქართველოს ჩემპიონი შესაბამის ასაკში.

სპორტი

ტიგრან პეტროსიანის მემორიალის გამარჯვებული

15-20 მარტს თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა ტიგრან პეტროსიანის მემორიალი ჭადრაკში 8-10 წლამდელი ასაკის გოგონებსა და ბიჭებს შორის.

ამ ტურნირში შესანიშნავად ითამაშა ჩვენმა ნორჩმა მოჭადრაკემ **ნინო ესაიაშვილმა** (მწვრთნელი ნანი უნაფქოშვილი), რომელმაც 8 წლამდე ასაკის გოგონათა შორის 6 ქულით (7 შესაძლებლობიდან) ***I ადგილი*** და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მას პრიზები ნანა ალექსანდრიამ გადასცა

ზ. აგულაშვილი

თავისუფალი ჭიდაობა

ორი მესამე უკრაინიდან

16-18 მარტს უკრაინამ უმასპინძლა საერთაშორისო ტურნირს თავისუფალ ჭიდაობაში უფროსი ასაკის მოჭიდავეთა შორის. ასპარეზობაში საქართველოს სახელით მონაწილეობდნენ და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს გარეჯელმა ფალავნებმა ზურაბ ერბოწონაშვილმა (74კგ) და დავით ხუციშვილმა.

ქვემო ქართლის დია ტურნირზე

18-20 მარტს თბილისში ჩატარდა ქვემო ქართლის დია რეგიონული ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც აქაური ფალავნის პეტრე ჯაოშვილის ხსოვნას მიეძღვნა. ტურნირში ქვემო ქართლისა და დედაქალაქის მოჭიდავეებთან ერთად იასპარეზეს აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელების რამაზ ასაბაშვილისა და დავით ბაბუნიძის აღსაზრდელებმა. სამი პირველი, ერთი მეორე და სამი მესამე ადგილი, ასეთია მათი მონაპოვარი ამ ტურნირიდან.

კერძოდ, საგარეჯოელთაგან ტურნირის ჩემპიონი გახდნენ თორნიკე ასაბაშვილი (29კგ), გიგი ქურხული (42კგ) და ბაჩო ქვლივიძე (53კგ). მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა 60 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე დავით კუჭუაშვილმა. ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ თორნიკე თარიმანიშვილი (23კგ), გიორგი გულისაშვილი (29კგ) და გიორგი საგინაშვილი (32კგ).

გ. დაბახიშვილი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru